

სოციალური მუშაკის ტოლერანტობის მაჩვენებელზე მოქმედი
ფაქტორების ანალიზი

სოფო წიკლაური

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური მუშაობის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციალური სამუშაოს სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი_ შორენა სამაგლიშვილი, მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

აბსტრაქტი:

წინამდებარე ნაშრომი ეხება ტოლერანტობის ცნების გააზრებას სოციალური მუშაკის პროფესიულ ჭრილში და ამ ორი ფენომენის ურთიერთკავშირის დადგენას. ნაშრომის ფარგლებში განხორციელდა რაოდენობრივი კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა ფორმალური განათლებისა და პერსონალური და პრაქტიკული გამოცდილების, როგორც დამოუკიდებელი ფაქტორების ზემოქმედების დადგენას ტოლერანტობის მაჩვენებელზე. კვლევის ობიექტს წარმოადგენს სოციალურ მუშაკთა 2 განსხვავებული ჯგუფი, ერთი რომელსაც მიღებული აქვს ფორმალური აკადემიური განათლება სოციალური მუშაობის მიმართულებით და მეორე, რომელსაც არ აქვს სოციალური მუშაკის აკადემიური ხარისხი ან ფორმალური განათლება სოციალურ მუშაობაში. კვლევაში ასევე მოხდა დემოგრაფიული ცვლადების (სქესი და ასაკი) კონტროლი და გამოიკვეთა საინტერესო ტენდენციები.

განხორციელებული სამუშაოს შედეგად დგინდება, რომ ფორმალური და არაფორმალური განათლების მქონე ორ ჯგუფი სტატისტიკურად არ განსხვავდება ერთმანეთისგან ტოლერანტობის ინდექსის მიხედვით. თუმცა გამოიკვეთა მცირე ტენდენცია, რომ სოციალურ მუშაკებს, რომელთაც მიღებული აქვთ ფორმალური განათლება სოციალურ მუშაობაში ხასიათდებიან შედარებით მაღალი ტოლერანტობის ინდექსით, მათ შორის ჯამური ინდექსით, ასევე სოციალური, ეთნიკური და პერსონალური სუბსკალებით. კვლევამ გამოავლინა, რომ განათლების ფაქტორი და პრაქტიკული და პერსონალური გამოცდილების მრავალფეროვნება არ ახდენს გავლენას პიროვნების ტოლერანტობის ინდექსზე. კვლევის ინსტრუმენტი, რომელიც გამოყენებული იქნა ტოლერანტობის ინდექსის დასადგენად, საჭიროებს ფსიქომეტრულ ანალიზს (სანდოობა, ვალიდურობა) და ქართულ პოპულაციაზე მორგებას. მოცემულმა კვლევამ აჩვენა, რომ ტოლერანტობის სკალის ქვე სკალები მაღალ კორელაციაში ერთმანეთთან და ტოლერანტობის ჯამურ მაჩვენებელთან. წინამდებარე კვლევა იძლევა ახალი ჰიპოთეზებისა და საკვლევო საკითხების აღმოჩენის შესაძლებლობას.